ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №ნ-10

2017 წლის 31 ივლისი
ქ. თბილისი

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 12 ივლისის №ნ-9 (სსმ, ვებგვერდი 13/07/2017; სარეგისტრაციო კოდი 260030000.64.076.016017) ბრძანებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის“ (დანართი №1):

ა) მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-18 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^1 პუნქტი:

„2^1. „აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი, რომელსაც გავლილი აქვს მონიტორინგი და შეფასებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მიერ ძირითადი ან/და არაძირითადი სამუშაო ადგილის შეცვლის ან/და აუდიტორული ფირმის რეორგანიზაციის/უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამსახური უფლებამოსილია ახალი სამუშაო ადგილის/რეორგანიზებული პირის ფარგლებში გამარტივებული წესით ჩაატაროს აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მონიტორინგი, რაც აუდიტორული ფირმის რეორგანიზაციის/უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში გულისხმობს ხარისხის კონტროლის სისტემის შესაბამისი კომპონენტების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას.“.

2. ბრძანებით დამტკიცებული ,,აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წარსადგენი ინფორმაციის ფორმა“ (დანართი №2) ჩამოყალიბდეს თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი **იური დოლიძე**